პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არანაკლებ B2 დონისა ან B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას უცხოურ ენაში (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ) ფაკულტეტზე შექმნილ დროებით კომისიასთან.

აპლიკანტს, რომელსაც დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გასაუბრებაზე გასვლა არ მოეთხოვება.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით აღსავსე, ინოვაციებზე დამყარებული თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის განმახორციელებელი, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარების მქონე, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური ეკონომიკის მაგისტრების მომზადება, რომელთაც ექნებათ: მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, მენეჯერული ეკონომიქსის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებენ ორიგინალური თეორიული და ეფექტიანი პრაქტიკული იდეების შემუშავება-განვითარებას, უცნობ ან მულტიდისციპლინარულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. განიხილავს ეკონომიკის თეორიის განვითარების კანონზომიერებებს, ეკონომიკურ პრობლემებს მიკრო-მაკრო დონეზე, მათ გამომწვევ მიზეზებს, ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს;

2. მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, თანამედროვე ეკონომიკური თეორიების, ეთიკური ეკონომიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარების, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **კრიტიკულად აანალიზებს** მულტიდისციპლინარულ გარემოში წამოჭრილ პრობლემებს;

3. განსაზღვრავს უახლეს ცოდნაზე დამყარებული კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;

4. შეიმუშავებს ინოვაციურ, ახალ, ორიგინალურ იდეებს;

5. ადგენს კავშირს თეორიას, კვლევასა და პრაქტიკას შორის;

6. კვლევის მეთოდების და ეკონომეტრიკის ცოდნას **იყენებს** საზოგადოებისთვის აქტუალური ეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის;

7. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, **დამოუკიდებლად ახორციელებს** კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, პროექტების (რეფერატების) და სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად;

8. საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს **წარადგენს,** როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;

9. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს არსებული ცოდნის გაღრმავების დაგეგმვის გზით, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
	სავალდებულო სასწავლო კურსები	
1	აკადემიური წერა	5
2	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5
3	მიკროეკონომიკა II	5
4	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები	5
5	ქცევის ეკონომიკა	5
6	ცოდნის ეკონომიკა	5
7	მაკროეკონომიკა II	5
8	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5
9	ეკონომეტრიკა II	5
10	მენეჯერული ეკონომიქსი	5
11	ეკონომიკური განვითარება	5
12	ეკონმიკური პოლიტიკა	5
13	საერთაშორისო ეკონომიკა II	5
14	სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში	5
15	**არჩევითი სასწავლო კურსები**	
15.1	**საქმიანი კომუნიკაცია (ერთ-ერთი ენა არჩევით)**	5
15.1.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	
15.1.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	
15.1.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	
15.1.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	
15.2	**დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**	
15.2.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	
15.2.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	

15.2.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	
15.2.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	
15.3	საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე	
15.4	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება	
15.5	გლობალური ეკონომიკა	
15.6	საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური შეფასება	
15.7	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკა	
15.8	გეოეკონომიკა	
15.9	ინოვაციური მენეჯმენტი	
16	**კვლევითი კომპონენტი:**	40